



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 307
-- --

2 ოქტომბერი
“ --- ” ----- 2018 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის N18.792.1160 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მოწონებული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, ნუცუბიდის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი, „ქალაქ თბილისში, ნუცუბიდის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ“ ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 26 სექტემბრის N18.792.1160 განკარგულების დანართების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

„ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის შესახებ“ ინტერესთა გამოხატვის წესი

მუხლი 1. ინტერესთა გამოხატვის მიზანი და საგანი

1. ინტერესთა გამოხატვის მიზანია ამ წესით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და შემდგომში საცხოვრებელი ფართების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა.

2. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი მე-3 მიკრო რაიონი კვარტალი III, წყალსადენის ტერიტორიის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 12 223.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი) ქონების საკადასტრო კოდი: 01.14.02.013.183) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 ლარად, პრივატიზება და პირობადებულ საკუთრებაში გადაცემა ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირისთვის/პირთათვის.

3. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი წარმომადგენლებისთვის/უფლებამონაცვლელებისთვის სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

მუხლი 2. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევის ვადები და საკონტაქტო ინფორმაცია

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) პროექტთან დაკავშირებით, ინტერესთა გამოხატვის თაობაზე მოწვევას (შემდგომში - ინტერესთა გამოხატვა) უზრუნველყოფს ინტერესთა გამოხატვის თაობაზე განცხადების გამოქვეყნებით www.tbilisi.gov.ge ან სხვა ხელმისაწვდომი ალტერნატიული საშუალებების მეშვეობით.

2. ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებულ პირთა მიერ წინამდებარე წესით განსაზღვრული განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 1 ნოემბერი, 18:00 საათი.

3. განაცხადების მიღება განხორციელდება ყოველ სამუშაო დღეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში (მის: ჟიული შარტავას ქ., N7).

4. საკონტაქტო ინფორმაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო და მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, ტელ: 032 2378279,

5. თუ ინტერესთა გამოხატვის დასრულების თარიღი ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, ინტერესთა გამოხატვა სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს, იმავე დროს.

6. თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ ვადაში არ განხორციელდა განცხადებ(ებ)ის წარდგენა ან ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პირმა სააგენტო უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, მაგრამ არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა გადაავადოს ინტერესთა გამოხატვის დასრულების ვადა.

მუხლი 3. მოთხოვნები დაინტერესებული პირების მიმართ

1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს, კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც საქართველოში, აგრეთვე, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულმა პირმა (ფიზიკური, იურიდიული, მათ შორის, აფილირებული პირი).

2. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს, რაზედაც ინტერესის გამოხატვის თაობაზე განაცხადთან ერთად, უნდა წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები:

ა) ოფიციალური სახელწოდება და მისამართი,

ბ) საფოსტო მისამართი,

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან/იურიდიული პირის რეგისტრაციის მოწმობა (და სხვა, დაფუძნების ან/და კომპანიის სახელის ცვლილების შესახებ არსებული დოკუმენტები), უცხო ქვეყნის კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში, აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა იყოს შესაბამისი წესით დამოწმებული და ნათარგმნი ქართულ ენაზე,

დ) რეზიუმე (განხორციელებული პროექტების მითითებით, მათ შორის ქვეკონტრაქტორების მეშვეობით);

ე) საშუალო წლიური ბრუნვის შესახებ ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში დადასტურებული ოფიციალური დოკუმენტით);

ვ) საკუთარი ან მოზიდული სახსრებით მშენებლობის დასრულების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია;

ზ) შემოთავაზება გადმოსაცემი ფართის ოდენობის მითითებით, მაგრამ არანაკლებ ამავე წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოცულობისა;

თ) ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტია;

3. რამდენიმე პირის ერთობლივი განაცხადის შემთხვევაში მათ უნდა ჰქონდეთ ხელშეკრულებით ზედმიწევნით გაწერილი უფლება-მოვალეობები. ხელშეკრულების ხელმოწერისათვის სავალდებულო მოთხოვნას წარმოადგენს იურიდიული პირის საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაცია.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია წარდგენილ უნდა იქნეს დალუქული კონვერტით.

5. წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ კანდიდატებს.

მუხლი 4. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია

1. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილე პირი ვალდებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (შემდგომში - მთავრობა) სასარგებლოდ წარმოადგინოს უპირობო და გამოუხმობი წინასამშენებლო საბანკო გარანტია, რომელიც შეადგენს 150 000 ლარისა და რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს წინასამშენებლო პერიოდის დასრულებას. ამასთან, წინასამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. წინასამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.

2. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და პირობებით მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყების და ექსპლოატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, მთავრობის სასარგებლოდ წარადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემ საცხოვრებელ ფართზე 1 კვ.მ X 500 აშშ დოლარის ეკვივალენტური ოდენობით ეროვნულ ვალუტაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 თვით უნდა აღემატებოდეს ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას. ამასთან, სამშენებლო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ. სამშენებლო გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გარანტიის გამცემი ბანკის სააქციო კაპიტალის 15 პროცენტს.

3. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში მითითებული თანხის ოდენობის შემცირების შესახებ გადაწყვეტილებას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მთავრობა.

4. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია მისი მოქმედების ვადის განმავლობაში უზრუნველყოფს პირის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

5. თუ გამარჯვებული პირი უარს იტყვის პროექტის განხორციელებაზე (გარდა ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგად გამოვლენილი გარემოებებისა, რის შედეგადაც პროექტის განხორციელება ეკონომიკურად ან ტექნიკურად არ არის შესაძლებელი) მთავრობა უფლებამოსილია გამოითხოვოს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად. აღნიშნული თანხა ირიცხება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის ბიუჯეტში.

6. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის გამოთხოვა მთავრობის მიერ ხდება ამ წესითა და იმპლემენტაციის ხელშეკრულების შესაბამისად, შემდეგ გარემოებათა გამო:

ა) გამარჯვებულმა პირმა დაარღვია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტექნიკური-ეკონომიკური კვლევის ვადა ჯამში 15 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო საბანკო გარანტიის 50%-ის ოდენობით;

ბ) გამარჯვებულმა პირმა დაარღვია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული ტექნიკური-ეკონომიკური კვლევის ვადა ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო საბანკო გარანტიის სრული ოდენობით;

გ) გამარჯვებულმა პირმა დაარღვია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადა ჯამში 15 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო საბანკო გარანტიის 50%-ის ოდენობით;

დ) გამარჯვებულმა პირმა დაარღვია იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადა ჯამში 30 დღეზე მეტი ვადით - წინასამშენებლო საბანკო გარანტიის სრული ოდენობით;

ე) გამარჯვებულმა პირმა იმპლემენტაციის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ უზრუნველყო სამშენებლო საბანკო გარანტიის მთავრობისთვის წარდგენა - დაუყოვნებლივ, წინასამშენებლო საბანკო გარანტიის სრული ოდენობით;

ვ) გამარჯვებული პირის ბრალით ანდა მიზეზით არ მოეწერა ხელი იმპლემენტაციის ხელშეკრულებას დადგენილ ვადაში - დაუყოვნებლივ, წინასამშენებლო საბანკო გარანტიის სრული ოდენობით;

ზ) თუ გამარჯვებულმა პირმა დაარღვია იმპლემენტაციის ხელშეკრულებითა და ამ წესის მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობა - სამშენებლო საბანკო გარანტია სრულად;

თ) სხვა შემთხვევებში იმპლემენტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

მუხლი 5. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადება, მასში ცვლილების შეტანა და შეწყვეტა

1. მთავრობა და სააგენტო ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირთან, გამარჯვებულად ცნობიდან არაუმეტეს 60 კალენდარული დღის ვადაში დებს იმპლემენტაციის ხელშეკრულებას (შემდგომში - იმპლემენტაციის ხელშეკრულება).

2. იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს, მთავრობის ცალმხრივი გადაწყვეტილებით, იმპლემენტაციის ხელშეკრულების პროექტში შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილებები.

3. მხარეთა შეთანხმებით იმპლემენტაციის ხელშეკრულებაში მისი დადების შემდეგ შესაძლებელია შეტანილ იქნეს ცვლილებები.

4. პირველი პუნქტით გათვალისწინებული იმპლემენტაციის ხელშეკრულებები შესაძლოა შეწყდეს შემდეგი გარემოების გამო:

ა) თუ მხარეები არ ასრულებენ ან არაჯეროვნად ასრულებენ მათზე დაკისრებულ უფლება მოვალეობებს იმპლემენტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) თუ იმპლემენტაციის ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი წინასამშენებლო ან სამშენებლო საბანკო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;

გ) იმპლემენტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად იმპლემენტაციის ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამის ბიუჯეტში.

მუხლი 6. ვალდებულებები

1. ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირი ვალდებულია:

ა) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეათანხმოს, ააშენოს და ექსპლოატაციაში მიიღოს ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა ამ წესითა და იმპლემენტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საცხოვრებელი ფართი არანაკლებ 7 000 კვ.მ.-ისა ამ წესის დანართი N1-ის შესაბამისად.

გ) ამ წესითა და იმპლემენტაციის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, მაგრამ მშენებლობის ნებართვის აღებიდან არაუმეტეს 24 თვეში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს არანაკლებ ინტერესთა გამოხატვისას დაფიქსირებული ოდენობის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ფართი, რომელიც განთავსებული იქნება ექსპლოატაციაში მიღებულ შენობაში;

დ) გადაცემული ტერიტორია განავითაროს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, არსებული კოეფიციენტისა და მოცულობის გათვალისწინებით;

ე) ჩაატაროს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და შეუთანხმოს მთავრობას იმპლემენტაციის ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუმეტეს 2 (ორი) თვეში;

ვ) გამარჯვებული პირი ვალდებულია შეათანხმოს სააგენტოსთან გადმოსაცემი ფართების მდებარეობა სართულების მიხედვით, რაოდენობა და კონკრეტული ბინების ფართობი, პროექტირებამდე, იმპლემენტაციის ხელშეკრულების შესაბამისად;

ზ) შეასრულოს იმპლემენტაციის ხელშეკრულების პირობები.

2. მთავრობა ვალდებულია:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, გამარჯვებულ პირს პირობადებულ საკუთრებაში გადასცეს ამ წესის პირველი მულის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთი სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების გზით.

ბ) გააფორმოს იმპლემენტაციის ხელშეკრულება გამარჯვებულ პირთან ამავე მუხლის პირველი პუნქტის პირობების გათვალისწინებითა და ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში;

გ) მიიღოს გადაწყვეტილება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის წარდგენიდან არაუმეტეს 30 სამუშაო დღის ვადაში სამშენებლო ეტაპზე გადასვლის ან იმპლემენტაციის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადმოსაცემი ფართი, უნდა დამრგვალდეს მერიის სასარგებლოდ იმ გათვლით, რომ დამრგვალების შედეგად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის გადასაცემი ფართი არ გადააჭარბებს გამარჯვებულის მიერ ინტერესთა გამოხატვის შემოთავაზებაში დაფიქსირებული ფართის 3%-ს.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ იმპლემენტაციის ხელშეკრულებებში უნდა განისაზღვროს ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, არაჯეროვნად შესრულებისთვის ან/და ვადა გადაცილებით შესრულებისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებისა და პატიების პირობები, რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მუხლი 8. განცხადების მიღება და რეგისტრაცია

ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობაზე განცხადების მიღება და რეგისტრაცია ხორციელდება განმცხადებლის მიერ დოკუმენტაციის წარდგენისთანავე.

მუხლი 9. განაცხადების განხილვა და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები

1. ინტერესთა გამოხატვის თაობაზე, განაცხადების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა ხდება განაცხადების გახსნა და განხილვა.

2. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია/დოკუმენტაცია წარდგენილია არასრულად ან/და შეიცავს ხარვეზ(ებ)ს, სააგენტოს რეკომენდაციით, მთავრობა უფლებამოსილია, დაინტერესებულ პირს

განუსაზღვროს დამატებითი ვადა არაუმეტეს 7 კალენდარული დღისა, შესაბამისი ხარვეზის გამოსასწორებლად. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, დაინტერესებული პირის მიერ განაცხადის წარმოდგენის შემდეგ დაუშვებელია განაცხადით გათვალისწინებული პირობების, მათ შორის, სამშენებლო საბანკო გარანტიის შეთავაზებული ოდენობის ცვლილება.

3. განაცხადების განხილვისა და/ან ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ სააგენტო და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური, წინამდებარე წესის პირობების გათვალისწინებით, ამზადებს რეკომენდაციას გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით და წარუდგენს მთავრობას, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად.

4. გამარჯვებულის გამოსავლენად უპირატესობა მიენიჭება ისეთ განაცხადს, რომლითაც წარმოდგენილია უკეთესი პირობა ვიდრე ეს გაწერილია ამავე წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა ან/და ამ წესის დანართი N1-ით გათვალისწინებული ტექნიკური პირობებით.

5. წინამდებარე ინტერესთა გამოხატვით დაინტერესებული პირები, რომლებსაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი აქვთ შესაბამისი განაცხადი, უფლებამოსილნი არიან, დაესწონ წარდგენილი განაცხადების გახსნის პროცესს. განაცხადების გახსნის/განხილვის შემდეგ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სააგენტოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ, თუ განაცხადი ისევ არ აკმაყოფილებს ამ წესით გათვალისწინებულ პირობებს რჩება განუხილველი. ასევე განაცხადი, რომელიც წარმოდგენილია ვადის დარღვევით, რჩება განუხილველი, რის შესახებაც სააგენტო შესაბამის პირ(ებ)ს უგზავნის შეტყობინებას და უბრუნებს წარმოდგენილ საბანკო გარანტიებს არანაკლებ 30 კალენდარული დღისა.

7. გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოსავლენად იღებს მთავრობა.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა

1. თუ გამარჯვებული მხარის მიერ დარღვეულია ინტერესთა გამოხატვის პირობები ან/და იმპლემენტაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადები და პირობები მხარეს მიეცემა გონივრული ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

2. ხარვეზის აღმოსაფხვრელად მიცემული ვადის გასვლის შემდგომ, ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მთავრობა და სააგენტო უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ამ წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესის გათვალისწინებით.

3. მთავრობა უფლებამოსილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით გადაწყვიტოს იმპლემენტაციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი.

უსასყიდლოდ გადასაცემი საცხოვრებელი ფართის ტექნიკური მოთხოვნები

1.1. საცხოვრებელი ფართი უნდა აკმაყოფილებდეს “თეთრი კარკასის“ პირობებს:

- ა) კორპუსის ფასადის შელესვა და შეღებვა;
- ბ) მოპირკეთებული ჰოლი, სადარბაზო და კორიდორი;
- გ) აივნების და კიბის უჯრედის მოაჯირები;
- დ) დამონტაჟებული ლიფტი;
- ე) კარ - ფანჯარა: მეტალო-პლასტმასის;
- ვ) შესასვლელი რკინის კარი;
- ზ) შიდა ტიხრები შელესილი გაჯით;
- თ) იატაკი მოჭიმული ცემენტის ხსნარით;
- ი) ელ. ენერგიის, ცივი წყლის, კანალიზაციისა და ბუნებრივი აირის დგარები მიყვანილი ბინაში.

1.2. ინდივიდუალური მრიცხველები:

დამონტაჟებული უნდა იყოს წყლის, ბუნებრივი აირისა და ელ. ენერგიის გარე ქსელებთან მიერთებული ინდივიდუალური მრიცხველები.

2. საცხოვრებელი ფართი უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მესაკუთრის საკუთრება, რაც უნდა დადასტურდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესაბამისი ამონაწერით;

3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ფართის გადაცემის დროისათვის, უნდა იყოს ექსპლუატაციაში მიღებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4. საორიენტაციო საცხოვრებელი ფართი ბინების მიხედვით

კონკრეტული ბინების საორიენტაციო საცხოვრებელი ფართი განსაზღვრული იქნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, მოგვიანებით, ცალკე დოკუმენტად.

შენიშვნა: აივნების ფართი არ უნდა აღემატებოდეს საცხოვრებელი ფართის სასარგებლო ფართის 8 (რვა) %-ს. ხოლო ჭერის სიმაღლე იყოს არანაკლებ 2,75 (ორი მთელი სამოცდათხუთმეტი მეასედი) მეტრისა.